თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 14 თებერვალი
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 4

ქ. თერჯოლა

14 თებერვალი 2023 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, აწ. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ზარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ზარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. ომარი ჯიხვაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალი ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. კახა ბუცხრიკიძე, 19. რამინი როზაქიძე, 20. თამარ ახვლედიანი, 21. ფრიდონ გვენეტაძე, 22. დავით ცხადაძე, 23. ნატალია ასათიანი, 24. მირაბი ბასილაძე, 25. ტარიელ ფანჩულიძე, 26. როლანდი მესხი, 27. ივანე ჩუბინიძე, 28. კობა კირკიტაძე, 29. რუსუდან კოშხირიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 29 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო $13^{00}$ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - $13^{40}$სთ-ზე.

*საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.*

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-282303950 წერილი, 08.02.2023 წ);

/მომხს. მ.ფანჩულიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-2823039112 წერილი, 08.02.2023 წ);

/მომხს.ზ.ბუცხრიკიძე/
/თანამომხს.გ.თურქაძე/

3. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივლისის N გ-29.29221871 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-282304066 წერილი, 09.02.2023 წ);

/მომხს.ზ.ბუცხრიკიძე/
/თანამომხს.გ.თურქაძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ზავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-282304090 წერილი, 09.02.2023 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

5. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 თებერვლის № -გ.29.29220471 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ზ.ბუცხრიკიძე/

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 29 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელმა მანუჩარ ფანჩულიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 475.7 ათასი ლარით და შეადგენს 27207.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 900.0 ათასი ლარით. (გრანტი 900.0 ათასი ლარით).

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 424.3 ათასი ლარით. (გრანტი 424,3 ათასი ლარით სკოლის ტრანსპორტი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 424.3 ათასი ლარით. საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება 424.3 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 900.0 ათასი ლარით, მერიის დაფინანსება გაიზარდა 145.0 ათასი ლარით. თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 150.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 465.0 ათასი ლარით. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით. თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 30.0 ათასი ლარით. თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირება გაიზარდა 14.0 ათასი ლარით; სახელოვნებო სკოლების სუბსიდირება გაიზარდა 8.0 ათასი ლარით; ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 35.0 ათასი ლარით. კულტურის სახლის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით; მუზეუმების დაფინანსება გაიზარდა 13.0 ათასი ლარით; საგამომცემლო საქმიანობა გაიზარდა 5.0 ათასი ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -21 , წინააღმდეგი - 8

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №6, 14.02.2023 წ.).

2.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 დეკემბრის N2461 განკარგულების საფუძველზე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამ"-ის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოეყო 690000 ლარი, მუნიციპალიტეტის სოფლებში მ/წ 23 იანვრიდან 27 იანვრის ჩათვლით ჩატარდა სოფლის საერთო კრებები და კონსულტაციები საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით, რომელიც წარმოდგენილია დანართის სახით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -29 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29230452, 14.02.2023 წ.).

3.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივლისის N გ-29.29221871 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში საჭიროა შევიდეს ცვლილება, რაც გამოწვეულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტის დამატებით:

1. **ქ. თერჯოლაში, კოსტავას ქ. N4-ში მდებარე შენობის რეაბილიტაცია.**

აღნიშნული შენობა ექსპლოატაციის მიზნით გადაცემულია ააიპ „სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება, თერჯოლის მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრისათვის". შენობის შიდა ინტერიერი საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებულია და სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 255000 ლარს.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -29 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივლისის N გ-29.29221871 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.2923045001, 14.02.2023 წ.).

4.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ამოცანაა „ბავშვის უფლებათა კოდექსით" განსაზღვრული ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიება, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა-განვითარებას.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -29 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29230453, 14.02.2023 წ.).

5.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზიზინა ზუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 თებერვლის № -გ.29.29220471 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -29 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 თებერვლის № -გ.29.29220471 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29230454, 14.02.2023 წ.).

*სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ზარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ზარათაშვილი